

140 /
959/3





პასილ მუხამაძე



მაშ, გაუმარჯოს

რიერაუის შუკი
უინულსაც აღლობს,
მზე არის გარეთ
და გულშიც თბილა.
შენ გაუმარჯოს
სიცოცხლეც ღაღა!
შენ გაუმარჯოს
ნოემბრის დღავე!

მნათობი ცაში
ნაპერწყლემს ჰკვეხავს
და წინ მიუძღვის
ახლის შენებას.
დიდება ღიად
სამშობლოს ჩვენსას
და მშვიდობიან
დღის გათენებას.

განთიადს სათნო
ღიმილი ახლავს,
მოჰქუხს სიმღერა
ოქროს ჩქერებად.
დიდება ამ მზეს,
ნოემბერს ახალს,—
მშვიდობის დღეს და
ბედნიერებას.

სიცოცხლის შუკი
უინულსაც ათობს,
ვიმღეროთ ღაღად,
ვიმღეროთ ტკბილად.
მაშ, გაუმარჯოს
დიდება მნათობს!
მაშ, გაუმარჯოს
ნოემბრის დღას!

საოქტომბრო პლაკატ
ი. გორდელაძისათვის

პ ი თ ე რ ი



საქართველოს ალკაც
ცენტრალური კომიტეტისა
და ვ. ი. ლენინის
სახელმწიფოს წარ
პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური საბავშვო
ჟურნალი

11

ნომერი
1959

გამომცემის წელი
XXXIII

რედაქტორი რევაზ მარგაიანი
სარედაქციო კოლეგია: შ. ბერიანიძე,
რ. ელანიძე, შ. ლეხანიძე (პ. მგ. მდივანი),
მარიჯანი, რ. კორჭია, გ. ფოცხაშვილი
(საბავშვო რედაქტორი).

ს ა ბ შ ი ტ ვ ა მ ი

შ ი ნ ა ა რ ს ი

გ. გვიტაძე- მ. შ. გაუმარჯოს (ლექსი) გარეკანის	2
რ. ინანიშვილი მსოფლიო ჩემპიონი (მოთხრობა)	2
ვ. მეხიშვილი ბედნიერი ბავშვობა (წერილი)	4
ჩინურთა არაკეზი	5
ს. სხირტაძე პირველი ქართული სტამბა (წე- რილი)	6
პიონერული კლუბი	7
კ. გოგაშვილი საოქტომბრო (ლექსი)	9
ი. ზოშტარია შემოდგომა (ლექსი)	9
ვ. ჩეჭურაშვილი მოიკალათა სხენზე (ლექსი)	9
შ. ამირანაშვილი დიდი გერმანელი მწერალი (წე- რილი)	10
ფ. შიღერი-ბელთათმანი (ლექსი)	11
ბ. სეირანიანი პირველი ნადირობა (მოთხრობა. თარგმნა ი. დავითიანი)	12
ახალი წიგნები	15
ს. შამტრიანი- მომავალი რკინიგზელები (ნარკვევი)	16
ლ. პანტელევი- ცხვირსახოცი (მოთხრობა. თარ- გმნა თ. მთვარელიშვილმა)	18
საინტერესო თემაზე	21
წ. შერეზაიშვილი გელას დაკარგვა (პოემა)	22
ა. გელოვანი მერვე ენა (ზღაპარი)	24
რაატომ ვამბობთ ასე?	25
წ. ლეშაშვილი ქვასროლია (ნარკვევი)	26
მოსწავლეთა შემოკმედება	28
ტექნიკის სამყაროში	29
იცი თუ არა შენ?	29
ლ. საღრაძე პიონერული ექსპრესი (წერილი)	30
მოკლედ ყველაფერზე	31
თავისუფალ დროს	32

გარეკანის მხატვრობა ეკუთვნის ალ. ბანძელაძეს,
გარეკანის შიგორე გვერდზე საოქტომბრო პლაკატი
ი. გორდელაძისა, გარეკანის მესამე გვერდზე- იუმორი.
ჟურნალი დასურათებულია მხატვრების: ალ. ბანძე-
ლაძის, დ. ხახუტაშვილის, ნ. შალვაშვილის, თ. სა-
სონაძისა და გ. კურდიანის მიერ.



საქართველოს მწერთა კავშირი



მნიშვნელოვანი ჩემთვის



რეკავი ინანოშვილი

(მ ო თ ს რ ო ბ ა)

ნახ. ალ. ბანძელიძისა

გურ პირს იბანდა გულმოდგინედ, შემდეგ ხარკეს-თან იღგა და დიდი სიზუსტით იყოფდა გვერდზე გადავარცხნილ თმას, მერე განაშებული ხალათის საყელის ისწორებდა. ფანჯრის რაფაზე ჩამოშვდარი ქეთინო როგორღაც შეშინებული შეტყუებდა, თითქო რაღაცის თქმა უნდა აბერ გაუბედითო. ბოლოს გაბედა:

— მეც წამოვალ, რა მოხდება..

გივის ყურადღებმა არ მიუტყვევია. ქამარი ვაისწორა, ლამაზად გაეცილი ცხვირსახიცი შარვლის ჯიბეში ჩაიღო და საათს შეხედა. საათი საღამოს შვიდის ნახევარს უჩვენებდა.

— მეც წამოვალ, რა მოხდება..—თითქმის ტირილით გამოვირა ქეთინომ.

გივის საზენე სიბრაზის ცეცხლმა აპკრა, მობრუნდა, უნდოდა ევეცრა, მაგრამ გაახსენდა, რომ ქეთინო ხუთი დღის წინათ წამოვდა ლოგინიდან, რომ მანამდე თითქმის მთელი თვე ავიდა იყო, და არეულად დაიწყო:

— მე შენ... იცი რა?... მე... ჩვენ, ბიჭები მივდივართ. შენ დედამ წაგყვანოს. ჩვენ სპორტდარბაზში უნდა გავიაროთ. შევტრთელთან...

ქეთინომ თავი ჩალუნა და გამხდარი, გაყვილებული ხელი თვალბნებთან მიიტანა.

გივის სუნთქვა შეეკრა, ახლა კი ნამდვილად ევეცრებდა, მაგრამ თავს ისევ სძლია, კარს წახსწვდა, გამოაღო და მერე მთელი ძალით მოსჯახუნა. ოთახიდან ქეთინოს შემოწებულნი ამოახილი მოესმა.

ცოტა ხანს ჩაფიქრებული მიდიოდა, მაგრამ მალე ჩუმო სტევენა დაიწყო. მონადირეთა კავშირის მაღაზიას რომ ასცდა. ტროტუარიდან ქუჩაში გადავიდა, ყბებზე მოშუქული ხელები შემოიწყო და დიდი ხმით დაიძახა:

— გურამ!

მეორე ხართლის ერთ დღია სარკმელში ბიჭის მზით გარუჯული ხელი გამოჩნდა.

— მოვდივარ, მო!..

სანამ გივი მიიხედ-მოიხედავდა და ტროტუარზე ამოვილიდა, გურამი უკვე ძირს იყო და აჭაქანებული ხმით კითხულა:

— ავტობუსში არ ჩავხდეთ?

— ფეხით ავუყვებო.

— ჩავხსდაროყვებო.

— რად გინდა, ბიჭო, ამ სიტყვაში!

— კარგი.

გურამმა ხალათის საყელი ნიკაპამდე აიწია, გვიმაც ხალათის საყელი ნიკაპამდე აიწია და წყნარი ნაბიჯით, სპორტსმენებს რომ შეშვენიო ისეთი ნაბიჯით, მთაწმინდისაკენ წავიდნენ. სპორტდარბაზი, რა თქმა უნდა, არც გახსენებიათ, რადგან დღეს იქ არავითარი საქმე არ ქონდათ. გიგომ ეს ისე მოიმიზუნა. გივის აღარც ქეთინო გახსენებია.

ფუნიკულორის საღაროსთან გრძელი რიგი დახედანთ, იკითხეს—ბოლო ვინ არისო და მორჩალად ამოუდგნენ უკან მოხუც კაცს, რომელმაც ჩიფჩიფო თქვა—ბოლო მე გახლავარო. ვილაც იმათმა ცოლმა ბიჭმა გვერდზე ჩაუარა და წინ გაძრომა დააძიარა:

— გურამი წახსწვდა, შემოაბრუნა:

— სად მივცრები?

ბიჭმა იწვირა, წამოყვინჩილავდა.

— ხელი, მა!

გურამმა ნიკაპამ მყოლია ხელი, თავი ააწვიანა და

შეკარდა უფრო:

— აბა შემომხედ!

ბიჭმა შეხედა, იგრძნო, რომ თავისზე ღონიერ მოწინააღმდეგეთან მონდა საქმე, უკან დაიხია და მხრებჩამოყრილმა წაიდურდუნა:

— გამიშვი.

— წადი, რიგში დადექი!

ბიჭმა ხალათის საყელი ვაისწორა და სულ დაიკარგა.

თურმე უყურებდნენ, ყველას სიამოვნების ღიმილი უთამაშებდა სახეზე. ვილაც მაღალმა კაცმა ჩალის ქუდი კი მოუხადა და თავი დაუქნია—ყოჩად ბიჭებო.

შერკცხვათ, აღარ იცოდნენ რა ექნათ, ერთმანეთს ეფარებოდნენ.

რიგი წინ მიიწვიდა, ბოლოს ხალარომდეც მიადწიეს. ბილეთები აიღეს. ტრამვაიში ჩასხდნენ და წავიდნენ მაღლა-მაღლა. მაღლა სიგრილე იყო, ნიავი ქროდა, მამადავითის ეკლესიას ვივლით ევლებოდნენ ნამგალები.

— არ ვიცხოლოთ?—სახლისთანავე იკითხა გიგომ.

— მა რა!—გაიკვირვა გურამმა. ტარისკენ გაიქცნენ და თოფები აიღეს.



ხუთ-ხუთი ვაზნა გაისროლეს და გაკვირვებისაგან პირ-
დაღებულმა ძიამ ერთს შოკოლადი გადმოუღო, მეო-
რის—რეზინის თოჯინა.

— კიდევ ვისროლოთ?—ღმილით გადახედეს ერთ-
მანეთს.

— სხვაგან ისროლეთ, შვილო, წადით, სხვაგან ის-
როლოთ... მე ახლა შეხვედნება უნდა გავაკეთო,—თქვა
შეშინებულმა ძიამ.

ბიჭებს გაეცინათ და საქანელებისაკენ წავიდნენ.
იქნავეს. მერე ზევით გაისივინეს, შოკოლადი შეჭამეს,
რეზინის თოჯინა ვიღაც პატარა გოგონასაჩუქეს. ნაყი-
ნი მოუწიდათ.

- წავიდეთ, ას-ასი გრამი შევჭამოთ.
- ფული? ფული გვეყვოდა?
- გვეყოფა.
- წავიდეთ!

ღილი ცაცხვის ქვეშ, მრგვალ მაგიდასთან, ტირი-
ფის წრელი დაწულ სავარძელში ჩახსდნენ და ცლა
დაიწყეს. მომტანი ქალი იქით, სხვა მაგიდასთან აჩხა-
კუნებდა საანგარისოს. ის იყო შემობრუნდა და უნდა
დაეძახათ, რომ გურამმა გიგის ფეხი წაჰკრა. გიგიმ
გაკვირვებით შეხედა. გურამი წამოხტა, გვიც აშკა-
მათენ ხელი-ხელ ჩაკიდებული ახოვანი ვაჟკაცი და
ვეებერთელა ბბთიანი-აიითღე წლის გოგონა მოდიო-
და. ახოვანი ვაჟკაცი მათ უღიმიოდა. ის მათი სექციის
ხელმძღვანელი, მათი საუკარელი, სათაყვანებელი მსო-
ფლიო ჩემპიონი იყო. მას მთელი თბილისი ცნობდა.
აი, ახლაც, როგორც კი გამოჩნდა, მაგიდებთან ჩურჩუ-
ლი ატყდა, ვიღაცამ ვიღაცას მუჯღუღუნი წაჰკრა, ვი-
ღაცამ ვიღაცა მოახედა, ვიღაცას ალტაცების ამოძახი-
ლი ამოხდა. ის კი, მსოფლიო ჩემპიონი, გურამთან
და გიგისთან მივიდა.

— ვასარჯობათ, ბიჭებო!—და ფოლადის ღვედივით
დაძარღვეული მარჯვენა გაუწოდა. გურამმა და გიგიმ
ხელი ჩამოართვეს, გაწითლდნენ, აღარ იციოდნენ რა
ქნათ.

- ხომ კარგად, ბიჭებო?
- გამაღობოთ, კარგად, პატივცემულო...
- აი, თინიკო,—მიუბრუნდა მსოფლიო ჩემპიონი
გოგონას,—ეხენი მომავალი მსოფლიო... მსოფლიო კი
არა, მზის სისტემის ჩემპიონები არიან—გურამი და
გიგო. ეს კი, ბიჭებო, ჩემი უმცროსი დაიკოა, ჩემი
უმცროსი დაიკო თინა. იცნობდეთ ერთმანეთს და, თუ
ქუჩაში შეხვდეთ, მფარველობა გაუწიეთ.

ბიჭებმა გაიცინეს, გოგონამაც გაიცინა.

- სკამები არის. მას ერთად დავსდეთ, ახა, დას-
ხედით, თინიკო, დაუქვი შენც.
- დასხდომამ ვერც კი მოახერხეს, რომ მომტანი ქალი
უპვი მათთან იყო და მოწონებით შესცქეროდა.
- მაშხალამე, ასე. თვეენ, სამივეს. ორას—ორასი
გრამი. მე კი, როგორც ბიჭებს, ახი.
- პატ... პატ...




ბიჭებს რაღაც უნდა ეთქვათ, მაგრამ მეტი ველა-
რაფერი მოახერხეს. მომტანმა ქალმა უბის წიგნაკში
რაღაც ჩაინიშა და ფარდულისაკენ გაიქცა.

- ხო, მართლა, გიგო,—მიუბრუნდა მსოფლიო ჩემ-
პიონი გიგის,—როგორ არის შენი ღარიკო? ხომ ადგა?
- დახა, ადგა, პატივცემულო...
- მერე, რატომ ისიც არ წამოიყვანე? ახლა ხომ
მისთვის ჰაერია მთავარი?
- ჩემი და... აი...— გიგის ენა დატბა...—ჩემი და...
მამიდასთან იყო.
- უნდა გამოგველო და წამოგვეყვანა. მისთვის ხომ
ახლა ჰაერია მთავარი,— გაიმეორა მსოფლიო ჩემპი-
ონმა.
- მე...

გიგიმ თავი ჩალუნა. თვალწინ დაუდგა თვალების-
კენ წადებული ქეთინოს გამხლარი, გაყვითლებული ხე-
ლი. მოესმა მისი შეშინებული ამოძახილი... და თავის-
თავისადმი უზომო ზიზღი იგრძნო. ახლა რომ ქეთინო
აქ ყუფილიყო, დაიროქებდა მის წინ, მოხებოდა ფე-
ხებზე და ხეე გამოსხოვდა პატივებს.

მსოფლიო ჩემპიონი კი თავის საუკარელ დაიკოს ოქ-
როსფერ თმაზე ვეება პეეელასავით დასკუებულ ბაბ-
თას უწრობოდა და თან გურამისა და გიგის შესახებ
ელაპარაკებოდა, რომ იხინი კარგი, ძალთან კარგი ბი-
ჭები იყვნენ.



ჩინეთის სსხა-ს რესპუბლიკის 10 წლისთავი



ბერძენი ბავშვობა



იღმა ჩინელმა ხალხმა ოქტომბრის თვეში იზეიმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის 10 წლისთავი. ამ საზეიმო ფერხულში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ჩინეთის ბავშვებმა. დღეს ჩინეთში ყველა პირობა შექმნილი მათი ბედნიერი ცხოვრებისათვის, განათლებისა და დასვენებისათვის. მარტო დაწყებით სკოლაში 92 მილიონი ბავშვი სწავლობს, წინათ კი მხოლოდ 18 მილიონი ბავშვი დადიოდა სკოლაში. ბავშვთა სპეციალური ბიბლიოთეკები და წიგნის მაღაზიები ჩინეთის ყველა ქალაქშია შექმნილი. პეკინის უღამაზეს პარკში—მეიხაისონ გახსნილია პიონერთა სასახლე, სადაც პიონერები თავიანთ ნიჭსა და უნარს ავლენენ. ბავშვთა აღზრდაში დიდი წვლილი მიუძღვით პეკინისა და შანხაის თეატრალურ კოლექტივებს, ქალაქ ტიანინის ბავშვთა მუსიკალურ სასწავლებელს; მთელს ჩინეთში გაიშალა სახელი პიონერთა მუსიკალურმა ორკესტრმა—„წითელმა ყელსახვევმა“. ჩინელი პიონერები აქტიურ მონაწილეობას იღებენ წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვის ლიკვიდაციის საქმეში. სზირია ასეთი სურათი: წითელყელსახვევიანი ბიჭუნა ან გოგონა გვერდით მოხუდლობა რამდენიმე მოხუცს და წერა კითხვას ას-

წავლის. ჩინელი პიონერებისათვის ეს საქმე წმიდაა. ამ გოგონებმა და ბიჭუნებმა დიდი მონაწილეობა მიიღეს დედაქალაქის პეკინის გამშენიერებაშიც: მარტო ტაუანდინის პარკში პიონერებმა 10.400 ხე დარგეს. ასეთივე სიყვარულით დასტრიალებენ თავს თქვენი ტოლები სასკოლო მიწის ნაკვეთებს, უვლიან ბაღ-ბოსტნებს, ტექნიკურ კულტურებს. ამ საქმეში თავი პეკინელმა პიონერებმაც იხაზელეს და ახლა ისინი მგობრებს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას გაზეთ „ჩინელი პიონერის“ საშუალებით.

ჩინეთის პიონერებმა იცინან, რომ ხვალ ისინი ვახდებიან მშუშები, მასწავლებლები, ექიმები, ინჟინერები და საყვარელი სამშობლოს მშენებლობაში უშუალო მონაწილეობას მიიღებენ. ამისათვის სწავლობენ და შრომობენ ისინი ვატაცებთ; აი, სწორედ ამაზე გვესაუბრებიან ხელმე მათი მეგობრობის პარათები, რომლებსაც ასე ხშირად იღებენ ჩვენი სკოლები, პიონერული რაზმეულები და მოსწავლეები.

3. მსხიბილი



მარტოობა და სიყვარული



შუშის პატარა ბოთლი



ინათლის სხივი ფანჯარაში შემოიჭრა და შუშის პატარა ბოთლს დაეცა. ბოთლი უეცრად აბრქვეი-აღდა, აკიფლდა და თავი გამორჩეულად იგრძნო. ირგვლივ მდგარ საგნებს დამყინავა ძეგრა, მოავლო და წარმოთქვა:

— საბრალო საგნებში იცხოვრობრწყინავაღლებისა და სიკაშაშის გარეშე, რა აზრი აქვს ასეთ სიციფ-ლეს!

სამწუხაროდ, ყველაფერი კარგი აღ-რე თუ გვიან მაინც თავდება.

როცა ბოთლი ამ სიტყვებს ამბობ-და, სინათლის სხივმა თანდათანობით გადაინაცვლა და ჩვენნი პატარა ბოთ-ლიც ჩრდილში აღმოჩნდა. ბოთლმა ტრაბახი შეწყვიტა, ხმა ჩაიკმინდა და გაგრინდული იდგა მავიდაზე.

ირგვლივ კი სიცილი ატყდა: — მეგობარო, რატომ აღარ ბრქვეი-ალეშ? — აბა, ერთი კიდევ აკიფდი!



ლოკოკინა



ეტად ფრთხილი იყო ლოკოკინა. ვიდრე აღვი-ლიდან დაიძვროდა, ვერ ნიკაიდან თავს სანახევ-როდ გამოყოფდა, რტებს

გამოსწევდა, ირგვლივ მყოფ საგნებს მისინჯავდა და მხოლოდ ამის შემ-დეგ ნელა, ძლივს შესაძმწნევედ გადაი-ნაცვლებდა. ირგვლივ თუ რამეს შეამ-ჩნევდა, იმ წუთშივე ნიკარაში ჩაი-მალებოდა. მისი აზრით, ის საშიშ-რობა, რომელსაც ვერ ხედავდა, სრუ-ლიადაც არ არსებობდა, და ლოკო-კინას შეეძლო დამშვიდებით ეცხოვრა.

ლოკოკინა კმაყოფილი იყო თავისი პატარა სამყაროთი, თავისი ნიკარით.

ერთხელ იგი მდინარის ნაპირს სე-ირნობდა და უეცრად იხივ დაინახა. ლოკოკინა სწრაფად ჩაძვრა ნიკარა-ში და დამშვიდდა: ახლა იგი უუნე-ბელი იყო! სწორედ იმ დროს, როცა იგი უღარდელად იჯდა თავის ნაჭუშ-ში, იხვმა ნიკარტი გააღო და ლო-კოკინა თავისივე ნაჭუშინანდ გადაე-ვლაბა.



მართე სწავლობდა ფრენას



ართე ბუმბულით შეი-მოსა, წამოიზარდა და ცა-ში აფრინდა. პირველმა აფრინამ ძალიან გაახარა იგი, მაგრამ ამავე დროს შეეშინდა კიდევ. გული აუკანკალდა, თავბრუ დაესხა.

ბებრმა არწივმა, რომელიც ახალ-გაზრდა არწივის ფრენას უყურებდა, დაცივნივ უთხრა:

«როგორ უაზროდ დაქანაობ! განა ამას ჰქვია ნავარდი? რასა გეგზარ! ფრთებს ძლივს და იქნე. წონასწორო-ბასაც ვერ იჭერ! ხან მაღლა აგვარდე-ბი, ხანაც დაბლა ეცემი. ხან აქვთ აწყდები და ხან იქით. ნამდვილად არ-ცხვენ არწივთა საგვარეულოს».

ამ სიტყვების გამოწე მართევემ მე-ტად ვეღარ გაბედა ჰაერში ჰფრენა. ბებრ არწივს სულმთლად დავე-წყებოდა თუ როგორ სწავლობდა იგი ერთ დროს ფრენას.



3 უ

უ მშვიდად გაწოლილი-ყო ტეიშთან მერტრის ნაპირ-ზე და მზეს ეფიციებოდა. კიბორჩხალამ კუ დაინა-ხა და ჰკითხა:

— აქ რას აკეთებ?

კუ ბრაზინანდ გაეპასუხა:

— ფრიად მნიშვნელოვან ფილ-სოფიურ საკითხებზე ვფიქრობ!

— ფილოსოფია რაღა არის? — გუ-ლუბრყვილოდ ჰკითხა კიბორჩხალამ.

— როგორ, შენ ისიც კი არ იცი, რა არის ფილოსოფია? — დამკნავად წარმოთქვა კუმ, მერე თვალეში და-ხუტა და ფილოსოფიურ საკითხებზე განაგრძო ფიქრი.

კიბორჩხალამ თავისი არარაობა იგრძნო, კუს კრძალივით შეხედა და უსიტყვიოდ გაშორდა.

კუ ამ დროს კი იმაზე ფიქრობდა: რა კარგია ამ მშვენიერ ამინდში მზეზე ნებიერობაო.



მეცლის წვეთი



ოტოსის ფოთოლს ზეც-დან ჩამოვარდნილი წვეთი დაეცა. წვეთი მარგალი-ტის თვალეით აელვარდა და კვეხნით წარმოთქვა:

— მე ზეციდან ჩამოვარდი. მე გა-ნა ჩვეულებრივი წვეთი ვარ, არამედ მარგალიტივით მშვენიერი და კეთილ-შობილი.

წვეთმა ვერც კი მოასწრო ამ სიტ-ყვების დამთავრება. ჰარმა დაბუბრა. ლოტოსის ფოთოლი შეირობა.

წვეთი ჩამოცურდა და წყალში ჩა-იკარგა.

პირველი ქართული სტამბა



ართველა ხალხმა გარეშე და შინაური ბედუკლებართობის გამო, შეკრებილი ვივან გაულო კარი გუტენბერგის უდიდეს გამოგონებას, ამიტომაც არ იწყვეს ვაკვირებას, რომ პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნები ჩვენი სამშობლოდან საკმაოდ დაშორებით გამოვიდა, სახელდობრ რომსა (1629 წ.) და მოსკოვში (1705 წ.).

მე-18 საუკუნის დასაწყისიდან, ელისა თუ არა მცირე ხნის მშვიდობიან ცხოვრებას, ქართველმა ხალხმა და მისმა მოწინავე ძალებმა გაორკეცული ენერჯით ვააჩაღდეს საქმიად ფართო სამეურნეო და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა. ამ დიდ ეროვნულ წამოწყებათა ინიციატორი იყო გამოჩენილი პოეტი და მეფე—ვახტანგ მეექვსე. მშობელი ქვეყნის უანგარო მოამაგმ მტკვრის ნაპირას, თავის სასახლის მიხლობლად, სტამბისაგვის საგულდაგულო შენობა ააგებინა.

ვახტანგმა დიდ მატერიალურ ხარჯის გაწვეთ და გულშემოტკივარ თანამაზრეთა დახმარებით, რუშინეთიდან მოიწვია სასტამბო საქმის სპეციალისტი, ჭრბინეთში მოღვაწე სახელმწიფო ქართული—ანთიმოზ ივრიელის შვირიდი მიხილ იშტვანოვიც (უნგრეოვლახელი).

ფრიად საყურადღებოა, რომ ქართული ასოები და სტამბის სხვა მოწყობილობა თბილისში დაზნადა.

ასე დაარსდა თბილისში 1709 წელს პირველი ქართული სტამბა და დაიწყო წიგნების ბეჭდვა.

მართალია, იმ სტამბაში გამოცემული წიგნების უმრავლესობა სიეკლესიო შინაარსისა იყო, მაგრამ ამით იმ დროისათვის მაინც დიდი ეროვნული საქმე კეთდებოდა. იგი ხელს უწყობდა ჩვენი ხალხის ეროვნულ გაერთიანებას და მომძლავრებული მამადაინობისაგან მამაბაძეულ ზნეჩეულებათა დაცვა-შენარჩუნებას. გარდა საეკლესიო წიგნებისა, თბილისის ახალდაარსებულ სტამბაში საერო შინაარსის წიგნებიც იბეჭდებოდა. ასე მაგალითად: 1711 წელს ამ სტამბაში გამოიცა ორიგინალური სახელმძღვანელო: „სწავლა თუ ვითარი მართებს მოძღვარსა სწავლულს მოწუფისა“.

ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში უდიდეს მოვლენად უნდა ჩაითვალოს მხედრული შრიფტით შეფხისტყაოსნის* გამოცემა 1712 წელს, ვახტანგისავე რედაქციითა და მეცნიერული კომენტარებით. ვახტანგ მეექვსის პოლიტიკურ კატასტროფასთან დაკავშირებით, სტამბის მუშაობა საგრძნობლად შეერბინა, თუმცა საგამომცემლო საქმიანობა მაინც არ შეწყვეტილა.

1713 წელს გამოდის „კურთხევიანი“. ამ ხანებში ვახტანგის სტამბის დიდი მოამაგე მიხილ იშტვანოვიჩი სამშობლოში ბრუნდება, ხოლო მისგან ასე მხურავად დაწყებულ საქმეს მისივე აღზრდილი ქართველი მოწოდებები განაგრძობენ. 1717 და 1720 წლებში იბეჭდება „თამი“ და „პარაკლიტონი“.

1721 წელს აღნიშნულ სტამბაში მხედრული ასოებით იბეჭდება ვახტანგისაგან სპარსულად ვადმოთარგმნილი ასტრონომიული შინაარსის შრომა „ქმულუბის ცოდნის წიგნი“, იგივე „აიათი“.

საყურადღებოა, რომ თბილისის სტამბაში გამოცემული წიგნების უმრავლესობა მხატვრული და ტექნიკური გაფორმების თვალსაზრისით იმ დროისათვის საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ დახელოვნებას ერთგვარი ნიადაგი შეუმზადა ქართული ხელნაწერი წიგნების მხატვრული კანონზომიერების შესანიშნავმა ტრადიციამაც, რომელიც დიდი პატივით სარგებლობდა ძველ საქართველოში.

მომდევნო ისტორიულმა კატასტროფამ, რომლის მძიმე შედეგებმაც ვახტანგი თავისი ამალით რუსეთში გადაიხაროდა, საგამომცემლო საქმეც შეაფერხა.

მიუხედავად ამისა, საქართველოდან გადახვეწილი ვახტანგის თანამოღვაწენი სხვადასხვა დროს რუსეთის ქალაქებში განაგრძობდნენ ქართული წიგნების ბეჭდვას.

1749 წელს მტრისაგან აოხრებულ და მოშლილი თბილისის სტამბა კვლავ მწყობრში ჩაღვა ეროვნულ მეორისა და ანტონ პირველის ინიციატითა, რაც თავისი დროისათვის ჩვენი ერის ცხოვრებაში უაღრესად დიდი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო.

დღეს, ქართველი ხალხი დიდი მადლიერების გრძნობით იხსენიებს პირველ ქართულ სტამბას და მის დამაარსებელს ვახტანგ მეექვსეს, რომელმაც მამადაინობის წყვედადში ჩაუღულ სამშობლოს შეძლებისდაგვარად სწავლა-განათლების ნათელი სიხები მოჰვიანა.



ისევ შევიკრიბეთ ერთად. დღევანდელ სხლამაზე ორი ნორჩი შემოქმედი გვაყავს მოწვეული. მათი სახელი უკვე მოვიდა თქვენამდ სხვა ჟურნალ-გაზეთების მეშვეობით.



ინდოეთის საბავშვო ჟურნალმა „შანკარს უიკლიმ“ ბავშვთა ნახატის საერთაშორისო კონკურსი გამოაცხადა. კონკურსზე მსოფლიოს ნა ქვეყნის ბავშვმა გააგზავნა თავისი ნახატები. მათ შორის თბილისის მე-19 საშუალო სკოლის მეთაურ-კლასელმა ავთანდილ თიმაშვილმა. გამარჯვებულთა შორის ავთანდილიც მოხვდა. მან პრიზი დაიმსახურა. ეს კი დიდი გამარჯვებაა! — 5000 ნახატიდან ერთმა მიიღო ოქროს მედალი, თორმეტმა — პრიზი და სამახორმოცდაათმა — წამახალი-ხეხელი პრემია. აი, სწორედ ავთანდილი გვეჩვია დღევანდელ სხლამაზე. „პარათი დელიდან“ — ასეთია სხლამის პირველი საციხის.



დელში... ადვილად წარმოიდგენთ ჩემს სიხარულს, როდესაც სკოლაში ნახატრი ბარათი მომივიდა: „ვირფასო ავთანდილ თიმაშვილი! ძალიან მხიარული ვართ შეგატყობინოთ, რომ პრიზი მიიღეთ თქვენი ნახატებისათვის ბავშვთა მსოფლიო გამოწვევაზე 1958 წელს. გივზავებით საბავშვო მხატვრობის ჟურნალს (სხვა ფოსტით.) პრიზების განაწილების ცერემონიალი მოეწყობა ნიუ-დელში...“ რამდენიმე დღის შემდეგ კი მეგობრებმა კლასში გაზეთი მოიტანეს, სადაც საკდესის ცნობა იყო გამოქვეყნებული. აი, ეს ცნობაც:

„დელი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ სახეიმო ვითარებაში ჯილდოევი გადასცა ჟურნალ „შანკარს უიკლის“ მიერ მოწოდებულ ბავშვთა ნახატის საერთაშორისო კონკურსში გამარჯვებულებს. კონკურსზე წარმოდგენილი იყო 55.000 ნახატი მსოფლიოს 65 ქვეყნიდან. დაჯილდოებულთა შორის არის 13 ნორჩი მხატვარი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქიდან, მათ რიცხვში მოსკოველი ვასილა ტინონოვი, თბილისელი ავთანდილ თიმაშვილი, ლენინგრადელი სერგეი ზელენციოვი, კიშინიოველი ანა გერბერი, სვერდლოვსკელი სევა რუშინი და სხვები.“

პარათი დელიდან


ინდოეთის საბავშვო ჟურნალმა „შანკარს უიკლიმ“ ნორჩ მხატვართა საერთაშორისო კონკურსი გამოაცხადა. მღელვარებით ჩავედ პაკეტში

ჩემი ნახატები: „ფარაკობა ხეცსურეთში“, „მეც მხატვარი ვარ“, „ქალათბურთი სკოლაში“, „ქალოს პორტრეტი“ და გავზავნე შორიულ



ერთხელ კიდევ ვადევევლ კონკურსზე ვავზავნილ ნახატების ასლს თვალში. ნეტევ რომელმა მათგანმა დაიმსახურა მოწონება? იქნებ ჩემი პატარა ძამიკოს ოინის გამომხატველმა ავკარელმა — გიამ ხელში აიღო ფუნჯი და უფროს ძმის ნახატს საღებავის სქელი კვალი ვავლო: „მეც მხატვარი ვარ!“ ასე გამომიცხადა მე და სწორედ ასეთ საქმიანობაში ვართული ღაგზატე იგი. აი, კიდევ ფარაკობაში შევებ-რებული ხეცსურები! ამ ნახატს პა-

ფარაკობა ხეცსურეთში



ქუჩა თბილისში

ტარა ანოტაცია ვაგბატანე დღეში. შორეულ მეგობრებს ვუსმენდი, რომ ხეცსურები ჩვენი მთიანი მხარის მკვიდრნი არიან, რომ მათი ვაჟე-ცობა სავეყნოდაა განთქმული; იმა-

საც ვწერდი, რომ ხეცსურებს ძალიან უყვართ სპორტი, რომ ფარიკაობა ფიზიკური წვრთნის ერთ-ერთი სახეა. ეს ნახტი კალმით მაქვს შესრულებული. დიდი სიყვარულით ვმუშაობდი მასზე, ვსწავლობდი ხეცსურთა ნაციონალურ კოსტუმს. ამ მუშაობაში დიდ დახმარებას მიწვედა ჩვენს

„გვიყვარდეს მუხიკა“ — ამ ხატიხზე გვესაუბრება დღეს მსოფლიო ახალგაზრდობის მეშვიდე ფესტივალის მონაწილე, თბილისის ცენტრალური მუხიკალური სასწავლებლის მოსწავლე ელისო ვირსალაძე. მან გადაწყვიტა ეურნალ „პიონერის“ მკითხველებს გაუზიაროს შთაბეჭდილება, რომელიც ავსტრიის დელაქალაქ ვენაში, მსოფლიო ახალგაზრდობის ფესტივალზე მიიღო.

სკოლასთან არსებულ სახმამატრო წრე უკვე მესუთე წელია, რაც ამ წრეში დაედივარ. წრის ხელმძღვანელი, მხატვარი რუსუდანი ჯავრიშვილი მუდამ თავს დამტრიალებდა, მძღვედა სასარგებლო რჩევა-დარიგებებს. ამიტომ ბუნებრივია, ჩემი სიხარული მანაც გაიზიარა.

მხატვრობა ჩემი სული და გულია. ვმუშაობ როგორც აკვარელით, ისე ხითით, ფანქრით, კალმით. მაგრამ ამვე დროს ძალიან მიტაცებს ძერვა. მინდა ჩახვილი ხელოვნების ამ დარგსაც დავეუფლო. ეურნალ „მანკარს უიკლის“ მიერ მოწყობილ კონკურსში გამარჯვებამ მერტისმეტად წამახალისა, ფრთა შეასხა ჩემს ოცნებას. ამიტომ მინდა გავიზიაროთ ჩემი სიხარული ეურნალ „პიონერის“ ფურცლებიდან.

ავთანდილ თომაშვილი,

თბილისის მე-19 სკოლის მეათე კლასის მოსწავლე

გოყვარუკუ მუსიკა!

მეგობრებო, მიხარული ვარ, რომ თქვენი კლუბის სხდომაზე მომიწვიეთ. დიდი ხანი არაა, რაც მსოფლიო ახალგაზრდობის მეშვიდე ფესტივალიდან დაებრუნდი. ბედნიერი ვიყავი, რომ ვესტუმრე ქალაქს, რომელთანაც დაკავშირებულია ბეთხოვენის, მოცარტის, შტრაუსის სახელები. ამიტომ, გასაგებია ის მღელვარება, რაც თბილისიდანვე გამოვიდა. მე ხომ ამ ქალაქში უნდა შემესრულებია ბეთხოვენის, მოცარტის, შუბერტის, შუმანის და მაჟარაიანის ნაწარმოებები. ამ პასუხისმგებლობას ვგრძობდი, ვლელავდი, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ჩემი მუშაობისათვის: ოცდათორმეტ შემსრულებელთაგან, მე მეორე ადგილზე გავედი და სამშობლოში ჩამოვიტანე ჯილო—ვერცხლის მედალი და ფესტივალის ლაურეატობის დიპლომი. თავისუფალ დროს გავდიოდი ვენის ქუჩებში, ვათვალერებდი ამ მეტად საინტერესო ქალაქს. მზიარული, აყვავე-



ბული, ფერადოვანი ვენა თითქოს თავისთავად იყო საფესტივალოდ მოართული. მოციხარი ახალგაზრდობა ავსებდა ვენის უბნებს. ისმოდა შემახილები, სიმღერები, მუსიკის ხმები და სიტყვები: „მშვიდობა!“ — „მეგობრობა!“ — რა ბედნიერი იყო ჩემთვის ის დღე, როდესაც ყვევლები მიფიქრებენ ჰაიდნის, ბეთხოვენის, მოცარტისა და შტრაუსის საულავებზე...

ხშირად მეკითხებიან ხოლმე, როდის ვიგრძენი მუსიკისადმი სიყვარული, რა ხნისა გამოვიდი პირველ კონცერტზე, რომელია ჩემი საყვარელი კომპოზიტორი, როგორ ვმეცადინებო და სხვა. აი, ახლაც ვეცლები ვესაუბროთ თქვენთვის საინტერესო საკითხებზე. თავიდანვე მუსიკის გარემოცვაში ვავიზარდებ. ჩემი დედოფა — პროფესორი ანასტასია ვირსალაძე ბავშვობიდანვე მინერვავდა ამ სიყვარულს. ჯერ კიდევ ხუთი წლისა ვიყავი, როდესაც ინსტრუ-

მენტზე სმენით ვუკრავდი. რვა წლი-
სამ კი სისტემატური მეცადინეობა
დავიწყე დიდდეს ხელმძღვანელო-
ბით. ცხრა წლისა უკვე კონსერვა-
ტორიასთან არსებულ ნიქიერ ბავ-
შთა ათწლეულის მესამე კლასში ჩამ-
რიცხეს. ამავე წელს პირველად გა-
მოვედი კონცერტზე და დიდდეს-
თან ერთად შევესარულე ბეთხოიენის
მეორე საფორტეპიანო კონცერტი...

შემდეგ წავიდნენ წლები გულბო-
გინე შრომაში. მიყვარდა მუსიკა; მაგ-
რამ ვიცოდი, რომ სიყვარულთან ერ-
თად ბეჯითი შრომა აუცილებელია,
თუ გინდა, რომ ბელოვების ამ
ურთულეს დარჯს დაეუფლო. მსმენე-
ლამდე სწორად მიიტანო კომპოზი-
ტორის ჩანაფიქრი, ააღვლო, აამაღ-
ლო მსმენელის გული. ის დღე დღე
არაა ჩემთვის, თუ თოხი საათი მა-
ინც არ ვიმეცადინე. არ ვიცი, რამ-
დენად შედეგლი მიზნის მიღწევა. მაგ-
რამ ერთი რამ ცხადია: მიინდა სი-
ცოკლე მივეძღვნა ჩემს საყვარელ
ბელოვებსა. ჩემი ოცნებათ ხომ
ესაა თბილისის ზაქარია ფლიაშ-
ვილის სახელობის ცენტრალური მუ-
სიკალური სკოლის დამთავრების შემ-
დეგ სწავლა კონსერვატორიაში გან-
ვავტრო. მეგობრებო, არ მინდა თავი
შეგაწყინოთ ჩემზე ლაპარაკით. მე

ვიცი, რომ გამონაკლისი არა ვარ.
ვიცი, მრავალი თქვენგანი ასეთივე
გატაცებით ეწაფება მუსიკას. ბეჯი-
თად შრომობს. აი, თუნდაც ჩემი
თანასკოლეები, პიონერები! ნანი
გვასალია და ლიანა ისაკაძე. მათ უკ-
ვე პარგად იცნობენ თბილისელი მუ-
სიკისმოყვარულები. როგორ მომიწო-
ნა ნანის მიერ კონცერტზე შესრუ-
ლებული "შუბერტის" ექსპრომტი!
ხოლო ლიანა ისაკაძე, გარშავაში ჩა-
ტარებული ქართული კულტურის კვი-
რეულზე ისე შესანიშნავად დაუტრა
შოპენის ეტიუდი. რომ ალტაცებაში
მოიყვანა შოპენის თანამემამულენი.

მეგობრებო! გვიყვარდეს მუსიკა!
იგი ამაღლებს და აკეთილშობილებს
ადამიანს.

ს ა მ კ ტ ო მ ა რ ო

შებეთ სახლებს, ახალი-ახლებს,
მტრეღივით რომ თითრად მრყინავს-
შივ ჰატარას მშვიდად სძინავს.

შებეთ ქარხნებს, კობტად ნავებს,
შივ ტრიალებს სწრაფად ჩარხი...
შრომობს, შრომობს ჩვენი ხალხი.

შებეთ მთვარეს, მონარნარეს,
ზედ წურტილად ეს რა მოჩანს?
ალისფერი ჩვენი დროშა!

სიხარული არ ნახული,
რომ ენატრობდით ოლითვანა,
ოქტომბერმა მოგვიტანა.

J. გოიბაშილი




მ ო ი კ ლ ა თ ა ს ს ვ ე ნ ე მ ..

წელს შემოდგომა სხვა იყო,
შემოგვეცინოდა ხილი:
ლოყაწითელი ატამი,
თურაშაული ტკბილი.

მაგრამ დაპჭროლებს ქარებმა,
მოვარდა წვიმის ღვარი,
სულ ერთიანად დასველდა
ბაღი, მოსტანი, ზვარი...

და შემოდგომას შესცივდა,
გული წყლდებოდა მზუზე,
ადგა და ხილთა ამალით
მოიკალათა სხვენზე.

3. ჩეპუიშვილი



შ ე მ ო ღ გ ო მ ა

აბა, მარჯველ! გვიხმობს რთველი!
არას გვარგებს უქმად ღგომა!
გვამერებს და გვახალისებს
საქართველოს შემოდგომა.

ქარი ქრის და წითელ ფოთლებს,
ყვითელ ფოთლებს დააჭროლებს,
სხვენში სძინავს ხილთა კრებულს,
ქვევროს პღვიძავს მაპურის მორებს...

აბა, მარჯველ დაეტრიალეთ,
არას გვარგებს უქმად ღგომა.
გვამერებს და გულს გვიხარებს
მადლიანი შემოდგომა.

ი. ხოზარია



5ახ. გ. ლოლუასი

დიდი გერმანელი პოეტი და დრამატურგი—ფრიდრიხ შილერი ორი საუკუნის წინ, 1759 წლის 10 ნოემბერს დაიბადა ვიურტემბერის პატარა ქალაქ მარბახში. ცნობილი დესპოტისა და სასტიკი ტირანის—ვიურტემბერის ჰეიგო კარლ ეგგენის ბრძანებით, ცაშტი წლის შილერი იძულებული იყო, თავისი სურვილის წინააღმდეგ, სამხედრო სკოლა-ინტერნატიშ შესულიყო და მედიცინა შეესწავლა. ჰერცოგის მიერ დარსებული ეს სკოლა საპატიმროს გავდა. მკაცრი რეჟიმი იყო გამეფებული. აღსაზრდელებს არცერთი დღე არადადგებია არ ჰქონდათ და გარსამყაროს მთლიანად მოწყვეტილები იყვნენ. თავისუფალ აზრებსა და მისწრაფებებზე ხომ ზედმეტი იყო ლაპარაკი—მსგავსი რამ ძირშივე იმთხოვდა. შილერის თანამედროვე პოეტმა შუმბარტმა ამ სასწავლებელს «მონათა პლანტაცია» უწოდა...

1779 წლის ერთ მშვენიერ კვირადღეს ქალაქ შტუტგარტის მახლობლად მდებარე ტყის სიღრმეში ახალგაზრდების ჯგუფი მიაბაჯებდა. ცეკვით ლურჯი სერთუკები, თეთრი შარავლები და მაღალი, შავი ჩექმები, თავზეც შავი ფერის ქუდები ეხურათ. ამ ფორმის ტანსაცმლით შეიძლება მიხედვდა, რომ ისინი სკოლა-ინტერნატიდან გაქრულნი იყვნენ. სასიყრდნოდ გამოსულიყვნენ. წინ ოფიცირი მიძღვოდა. უკან მოსწავლეები მიჰყვებოდნენ მკაცრად დაკული წყრივით.

გზა ხშირ ტყეზე გადიოდა. ბოლო ექვსი მოსწავლე ორნავ უკან ჩამორჩა.

შემდეგ ერთმა მათგანმა საიდუმლო ნიშანი მისცა, და ექვსივე ხეებს იქით გაუჩინარდა. მათ სწრაფად მიიჩინეს ერთ მწყდრო ადგილას, რომელიც მაღალი ფიჭვის ტყერით იყო დაბურული.

ერთი იმ ექვსთაგანი ზურგიით მოხებრებულად მიეყრდნო ბუბურ ფიჭვს, ჰვიბიდან რვეული ამოიღო და კითხვას დაიწყო. ამ აზივან ჭბუბო მაღალ შუბლზე ქერა თმები ეყარა, ნათელი და მეტყველი თვალები ჰქონდა. ეს იყო ფრიდრიხ შილერი. მეგობრებს სცენებს უკითხავდა თავისი პირველი დრამატული ნაწარმოებიდან, რომელსაც «ყაჩაღები» ეწოდება. იგი ამ დრამას ჩუმად წერდა და მ-ლამობით. ახლაც ყოველ წამს მზად იყო, თუ საჭირო იქნებოდა, რვეული სწრაფად დაემაღლა.

შილერმა სცენები მიღობდე წაიკითხა. ნაწარმოებმა მეგობრებზე უადრესად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა... მას შეადევ სამი წელი გავიდა. 1782 წელს «ყაჩაღები» პირველად ქალაქ მანჰაიმში დაიდგა და დიდ წარ-

მატებას მიაღწია. გერმანელი ახალგაზრდობის გულში თავისუფლებისათვის ბრძოლის ცეცხლი აეჩვიზნდა. ახალგაზრდა შილერმა პირველსავე ნაწარმოებში დიდი აწერის სახელი მოიხვეჭა. ჰერცოგმა კი «საბიშ» პოეტს შემდგომი ლიტერატურული მოღვაწეობა აუკრძალა. შილერი იძულებული გახდა სამშობლოდან ჩუმად გაქცეულიყო და მივიღე, მოხეტიალე ჯოხვრება დაეწყო.

1784 წელს დაასრულა შილერმა თავისი ტრაგედია «ვერაგობა და სიყვარული», რომელშიც ფეოდალების აღვირახსნილობა და ხალხის უფლებობა გამოხატა. რევოლუციური რუმენისა და ამ უბოქის რეალისტური ასახვის თვალსაზრისით, «ვერაგობა და სიყვარული» შეტევისა და ქაჩიშხლის პერიოდის საუკეთესო ნაწარმოებია. შილერის ენგელსმა მას «პირველი გერმანელი პოლიტიკურ-ტენდენციური დრამა» უწოდა.

შილერის ისტორიული დრამებია: «ვალენშტაინი», «მარია სტუარტი», «ორღენელი ქალწული» და სხვები. მისი უკანასკნელი დრამა იყო «ვილჰელმ ტელე», რომელიც 1804 წელს დაასრულა. მიუხედავად იმისა, რომ ამ დრამების შინაარსი გერმანიის ისტორიიდან არ არის აღებული, მათში მაინც გერმანიის რევოლუციური განვითარების მნიშვნელოვანი საკითხებია დამუშავებული. ის დროს ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო ქვეყნის ერთიანობა, და ძალიან დამახასიათებელია ის აზრები, რასაც შილერი «ვილჰელმ ტელეში» გვიჩვენებს, თუ როგორ იბადება ერთიანობა ტირანების წინააღმდეგ ხალხის ბრძოლათ.

ოთხმოციანი წლების ბოლოს გოეთეს მიწვევით შილერი ვაიმარში ჩავიდა. აქ დაიწყო ამ ორი უდიდესი გერმანელი პოეტის მეგობრობა.


საფრანგეთის დიდ რევოლუციას შილერი აღფრთოვანებით შეხვდა. საფრანგეთის სცენაზე დიდი წარმატებით იდგებოდა მისი «ყაჩაღები», და კონვენტმა მას, როგორც თავისუფლებისათვის მებრძოლს, «საფრანგეთის რესპუბლიკის საპატიო მოქალაქის» სახელი მიანიჭა.

მთელი მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა ხედავს შილერში ადამიანთა თავისუფლებისა და პედნეგრებისათვის მგზნებარე მებრძოლს. და როგორც 150 წლის წინათ მისი ნაწარმოებები ხალხებს მძობისა და მეგობრობისაკენ მოუწოდებდა: «მილიონებო, ხელი ხელს მიეცით...» ამ სიტყვებით იგი თავისი ოდიდან «სიხარულსადმი» დღესაც მშვიდობისმოყვარე ადამიანთა გულებს ესაუბრება.



დიდი გერმანელი მწერალი

ხელთამანი



ვილიყის მიღწეა



ზის სამხეტეთან სვედენიერი
ურანცი ძლიერი,
სწალია ნახოს ბრძოლა მხეცების,
მათი ჰილილი თავგამეტებით.
მეფეს თან ახლავს დიდებულთ დასი;
ლამაზნი ქალნი, თიკველთ მსგავსნი,
მშვენიერებით წარმტაცნი ვულის,
სხედან მის ახლოს სულგანაბულნი.

ხელის დაქნევით მეფე ანიშნებს
და ვალის კარს აღებენ მყისვე.
გამოდის ლომი, და კუშტად მგომი,
განრისხებული გაჰხედავს არეს,
გაიხშორება და დაამთქნარებს.
შეარხევს ფეფარს, თავს ზანტად იქნევს
და წეება იქვე.
მეფე მსახურთ კვლავ ხელნი ანიშნებს.
ვალის კარი იღება ისევ.
გამობტის ვეფხვი, რისხვით გზნებული,
გაშლეგებული,
და რის გოროზ ლომს შეაფლებს თვალებს,
დაიღრიალებს.
კულს იქნევს ღრენით და კბილთა ღრენით
წაავლებს ენას, შფოთავს და ღელავს,
ბრაზმორეული ლომს ირგვლივ უვლის,
იღმუკლებს, წყრება,
და შემდგ წეება...

მეფე იძლევა ნიშანს მესამედ,
და გამონაგრევეს გრილით კარებს
ორი ავაზა.
ვეფხვს მისწვდებიან დაფეთებულნი,
ულმოზღ ბრძოლის ცეცხლით გზნებულნი;
ვეფხვი თათს გაქარავს ორივეს წყრომით;
ამ დროს იღმუკლებს საზარლად ლომი,
და მშვიდდებიან მწყურვალნი სისხლის,
წრეს დაუკლიან, დამთვრალნი რისხვით,
კვლავ ამაზრზუნად აზმუვლდებიან
და გაწევიან.

უცებ შეარხევს ლამაზი ქალი
ხელს, მდელვარებით გულანართოლი,
და ხელთამანი ეცემა დაბლა
ნადირთა შორის.

და კუნიგუნდე რაინდს მიმარაავს:
— «დე-ლორე, ბატონო, რაინდო ჩემო,
თუ ასე ძლიერ გიყვარვართ მარლა,
ჯობს დამიმტყიკოთ, საქმით მაჩვენოთ,
ის ხელთამანი აქ მომიტანოთ!»

გაეშურება მხნე და მრისხანე
რაინდი დე-ლორე, გულით ფიტყელი,
გიბრულ სიმშვილით მხეცეთან მილის,
იღებს ხელთამანს მამაკე ხელით.

სანახაობით განცვიფრებული
უცქერის რაინდს სტუმართ კრებული.

გმირი რაინდი, მშვიდი და ლაღი,
როს ხელთამანი თუან ბრუნდება,
ირგვლივ ქების ხმა აგუგუნდება;
და კუნიგუნდე—კმაყოფილ სახით,
შეხედავს რაინდს ღიმორეული,
ტრფობის სურვილის ცეცხლად ქვეული.
მაგრამ რაინდი, გზნებული რისხვით,
ესერის ხელთამანს და ეტყვის ზიზლით:
«შე მოწყალეობას არ ვარ ჩვეული!»
და განშორდება გულამდგრეული.

თარგმნა ხარიტონ ვარდოშვილი





პირველი ნადირობა

ბანიკ სპირანინი

გალონე მანას ჩვენი კოლმურენობის უფროსი მწყემსია. საძოვარზე იმის ცხვრის ფარა შთების კალთებს რომ შეფენებოდა, თეთრი თოვლივით ვადაიბენებოდა იქეთობოდა. ბოლო არტუჯის ხევში იყო, როცა წინა ნაწილი უკვე მთის მწვერვალზე, ღრუბლებში ნავარდობდა. შორიდან შემყურეს ისე ჩენენებოდა, თითქოს ალბური ცვიანი ბალახით გამძლარი ცხვარი ახლა ლავარდოვან ღრუბლების პატარა ქულებიდან ანკარა წყალს სრუტავსო.

მანასს შეიღს... სვედოს ჩვეულმა ჰქონდა ყოველ წელს, სახაფხულო არაღდეგებზე, მამას მიხმარებოდა. სვედო ძალზე ფიზიული, გულშაგარი ყმაწვილი იყო, როგორც ყოველი მთიელი, ეს ბიჭიც მთასა და ბარში ხეტიალით და ბუნებასთან ბრძოლაში გაკაცებულიყო.

თვალის დახმამამებში ბიჭი კატასავით ხის კენწეროზე მოექცეოდა, ფოთლებში მიიმალებოდა და გარეული ფრინველის ხმით შესძახებდა:

— ბიჭო ვიტტიოო!...

— კტ... კტ...!

ხმას ისე აღამაზად ამგვანებდა მეტადრე მწყურის ქეითქეთს, რომ მწელად გამოიცნობდი გარეული ფრინველი იყო თუ ადამიანი...

სვედო უტბად პერანგს გაიძრობდა და მალლიდან

*) არჯუტ—სიტყვა სიტყვი ნიშნავს; დათვაშ შეგაკაშო.

პირდაპირ აქაფებულ მოკრევეში მოადენდა ტყავანს ისე ღრმად ჭყყურყურებდა, რომ გგვონა დიკარგაო. მაგრამ კარგა მანძილის მოშორებით თავს ამოჰყოფდა. თევზით ვაფართხალდებოდა და, ცივი წყლისაგან მოხარშულ კიბოსავით აწითლებული, ნაპირზე გამოედოდა.

ბიჭი უყუნეთ სიხნელში მარტოდ-მარტო დაადგებოდა ბილიყს, ხეების და ტყეების ავლით იალაღზე ავიდოდა. აქ ცვიანი ბალახზე გაშლილ მახარაზე მხარეთოზე წამოწოლილი იმისი მამა ფიზიული თვალით გასცქეროდა მობაღზე ცხვარს; დედა. მკლავებაკაპწებული. ტყავის წინსაფრთი გულზე; ხან მსუქანი რძიდან ფერმაში ერბო-ყველს იყვინდა; ხანაც, თავისუფალ დროს, მატყლს აართვდა და ცხვარიში რაღაც სიმღერას ღლინებოდა.

ნახ. დ. ხახუტაშვილისა

მაგრამ კინაღამ არჯუტე დამეიწყდა! იალაღზე წასასვლელად სვედოს უქვევალად ამ ხევში უნდა გაველო. მერე და რა საშინელი ხეცია. ეშმაკი ვერ გაიგნებს გზაკვალს; მაყვლის, კვრინჩის და ასკილის ბუჩქები ისეა ერთმანეთზე გადახლართული რომ, თუ გაიჩხირე. თავს ვეღარ დაიძვრენ, ნამდვილი ჯუნგლია. ღამე საშინელი წყვლიადა, დღისით ცამდე აწვდილი ხეების ჩრდილი. გულით ძალიანაც რომ გინდოდეს, ვერც ცის ნავლუჯს დაინახავ და ვერც ირგვლეე ჰორიზონტს.

ჩვენი გულით სვედო არჯუტეში დღე თუ ღამე ისე გაივიცდა, რომ არც ბუხს და ჰოტის სახარელი კიბილი აშინებდა და არც მუცლის ტკივილით შეგყობილ მელაის წებუტუნისა ერიდებოდა. მაგრამ არ გგვონოთ, რაკი ამ ხეებს არჯუტეში* ჰქვიან, მართლაც იმდენი დათვები იყო. რომ ისინი ყოველდღე ერთმანეთს შეიდავებოდნენ. ბუბნიდნენ ერთიმეორეს და ღრიალებდნენ. ალბათ. ოდესღაც ასე ეჩნებოდა. ახლა კი იმ არემარეში დათვი რაღას გაჩერებოდა, როცა კოლმურენობის ძმლოლი ალექსიანი თავისი ავტომანქანით დღევანი რამდენიმეჯერ აგრიალდებდა და საყვირის გამჭვივანი ღრიანცელით ჩამოგრიალდებდა მთას აკავშირებს დედატყუაქთან. დათვეები შიშისაგან გაიფანტნენ, მიიძლნენ, თორემ ვეი აქაურ მწყემსებ და განსაკუთრებით კი მდინარი კოლმურენობის მწყემს მანასას, რომლის აქაურბემლი ცხვარი მთის ფერობებზე ბალახობდა...

მანას მარტო არ იყო, ხუბულ თანაშემწევთან ერთად შედიდ ისეთი უზარმაზარი ნავთი ჰყავდა, რომ ნადირს შიშის ზარს ჰგრიდა მათი ყუფა. მიუხედავად ამისა, ასეთი მრავალრიცხოვანი ფარის მოვლა-პატრონობა მაინც მეტად ძნელი იყო. განსაკუთრებით საშიში იყო ღრუბლიან ამინდში, როცა შავი ჯანდი ჩამოწვებოდა მთაში.

სევლო შემოდგომამდე, სანამ სწავლა არ დაიწყებოდა, მთაში რჩებოდა მშობლებთან. ძალზე აინტერესებდა თანაც უყვარდა მწყემსის დაუღვრობელი, შემთხვევებით სავეს მძიმე ცხოვრება, ძილი არ ეკარებოდა, დღე და ღამ ცხვარს იყო და ფარის უღვლიდა. ბიჭს ძილშიაც კი უჭრიდა თვალი ცხვრისაკენ გვირაკს...

ამ წელს მეზობელ იალაღებზე მწყემსი არ დარჩა, რომ ცხვარი არ დაჰკარგოდა, მარტო მანას იყო ჯერჯერობით ჯვარწერილი. მაგრამ, დაბე უბედურებას, მანასას ფარასაც შეუწინაღობა რაღაც ეშვაკი, იმასაც თითქმის ყოფილდღე აკლდებოდა ცხვარი.



ხევამ მოიცვა ძველი მწყემსი მთასავით მოპირქეშიდა.

ვინ პარავდა ცხვარს, მგელი თუ ქურდი, ვერ გაეგოთ... დამე ისე ჩაივლიდა, რომ არც ძალდასაწყვეტობა, არც რაიმე აუზაური ატყდებოდა, დილით კი ცხვარი მაინც აკლდა. სევდამ მოიცვა ძველი მწყემსი, მთასავით მოპირქეშიდა, ერთ კვირაში ჩიხრს დაემგავსა.

სევლო ღრმად თანაუგრძნობდა მამას. მართალია, დარწმუნებული იყო, რომ დანაკარგს გადაახდევინებდნენ, მაგრამ მთავარი ფე იყო განა? აქ სახელისა და თამოყვარების საკითხი იდგა. მანასს იალაღიდან ყოველთვის პირნათლად ჩამოურეგნია ცხვარი, სოფლის შარაში ისე ამაყად გაუვლია, როგორც ბრძოლის ველიდან დაბრუნებულ გამაჯვებულ ჯარისკაცს. ახლა კი სირცხვილით უნდა ააჩრდოს თვალი თანასოფლელებს, აი, რა აწუხებდა მას და ასე რისგან ჩამოღდა.

* * *

როცა დანაკარგმა ექვსამდე მიაღწია, მანასამ ველარ მოითმინა, გადაწყვიტა მონადირეები მოეწვია და ამ მიზნით შვილი აფრინა სოფელში.

სევლო გზას გაუღდა. თეთრი თულია ვეებერთელა ჯინჯილიანი ქოფაკი, რომელიც ძალიან შეჩვეული ჰყავდა, კულის ქნევით უკან დაეღვენა; კბუქს გაეუბარა: „გზაში მარტო არ ვიქნებიო“.

მოკლეულსანი თოფით იყო შეიარაღებული სევლო, თოფი ამხანავს მიეცა, რომ გზაში რაიმე ხიფათს არ შეეყოლა. მიდიოდა სევლო, ვეაკაცებით მიბიჯებდა. კუნთები ზამზარასავით ეკუმშებოდა და ფართო ნაბიჯებს დგამდა. ძალზე ჩაფიქრებული იყო, ძალღის თამაშს უყრადღებებს არ აქცევდა, არც ირგვლივ იშორებოდა, მხოლოდ მამის დარდი აწუხებდა. ნეთუ დანაკარგის კვლს არ უნდა მიავანო? დარღისა თუ ჩჭარი სიარულის ბრალი იყო—ხახა გაუშრა და საშინელი წუთრული იგრძინა.

არჯუტში, გზიდან ცოტა მოშორებით, ცევი, ანკარა წყარო ამოჩუხუხებდა და მაწალ ბალახებულაში იკარგებოდა. წყაროსაკენ მიმავალი პატარა ბილიკი ხშირი სიარულისაგან მოტიტვლებული იყო.

სევლომ წყაროსაკენ გადაუხვია, გულიანად დაეწევა ცივ ანკარა წყალს, საყელო გადაიღოდა და იქვე ქვაზე ჩამოვდა დასასვენებლად. ძალიც მიმუნწოდა, ცივი წყალი ენით ასვლიდა, წყნარად შემობრუნდა, იქვე ჩრღლიში მიწვა, თავი თათებზე დაიდო და გაჩუმდა.

ძალზე მოქნეული იყო სევლო, რამდენიმე დამე თვალი არ მოეხუტა, ცხვარს დარაჯობდა—რბილ ბალახებზე გადაწვა მოსასვენებლად. თვალზე ლიბრიით გადაეკრა, ტყე გაქან-გამოქანდა, თავი დაუქმინდა, და ისე, რომ თვითონაც ვერ იგრძინა. ჩაიძინა.



თულია უფრად წამოხტა და ბტუნა-ბტუნით წინ გაეპანა.

რამდენ ხანს ეძინა. არ ახსოვს, უეცრად ძაღლის საშინელმა წმებტუნმა გამოაღვიძა, და ზეგ წამოხტა.

ნამძინარევი თვალებით შეამჩნია, ძაღლი ჰაერზე ფართხალებდა. რაღაცას მაღლა აეტაცა და ასე გაეჩერებია. ვეება ქოფაკი სასოწარკვეთილებით იბრძოდა, ფართხალებდა, ყოველ ღონეს ხმარობდა თავი დიდწოა მარწუხებიდან. ბიჭმა ნათლად გაარჩია: ძაღლი აყვანილი ჰყავდა უზარმაზარ დათვის.

დათვი წყლის დასალევად მისულყო, იქვე მახლობლად მძინარე თეთრი ძაღლი რომ დევნახა, ცხვარი ჰკონებოდა, მივარდნოდა, აეყვანა და ტყისაკენ უპირებდა გატაცებას.

ბაბუი შეკრთა, მთელი სხეული თითქოს კინკრით დღესუსხა. უმაღლე დათვის ზურგიდან მოექცა და თოფი დაუმჩნა. ხვეში საზარელი გრგვინა გაისმა, თითქოს მეხი ჩამოვარდა და ათასწლიანი მუზეუმი ძირფეხიანად ძირს დაენარცხაო.

ნადირმა უეცრად ძაღლს დათვი გაანება, ბიჭს მივარდა, ტორი გაკრა და წააქცია...

მაგრამ უცბად, თვალის დახამხამებაზე, ნადირიც გვერდზე გადავარდა. ძაღლს დაენახა პატრონის გაკირვება, მივარდა დათვის და დათვის გრძელი ეშვებით ჩააფრინდა კისერში.

სველი განს მოვიდა. წამოხტა და თოფი მეორედ გასტენა...

მაგრამ სროლას ვეღარ ბედავდა. რადგან ძაღლი და დათვი ღონიერი ფალანგებით მაგრა ჩაქიღებოდნენ ერთმანეთს და ასე კოტრიალობდნენ. თეთრი და რუხი ფერები ისე სწრაფად ბრუნავდნენ ქაბუკის თვალში, რომ ვერ გამოერჩია თულა ნადირისგან.

ბოლოს დათვმა დაჯანა, ძაღლი მიწაზე დაანარცხა და კბილებით ყელში სწვდა. მაგრამ სწორედ ამ დროს დაიჭუბა სვედოს თოფმა და ცხელმა ტყვიამ დათვის ყურისძირი მომტნა.

თოფის ხმა კვლავ აზანარებდა იქაურობას. რომ დათვმა ერთი საზარლად დაიღრიალა. გვერდზე გადაწვა, ნერვიულად აძვიძვდა და უკანა ფეხების ბასრი ბრჭყალებით მიწას ფეოქნა დაუწყო.

ნადირი სულს დაღვდა. სვედომ ძაღლი გაიყოლა



ბოლოს დათვმა დაჯანა, ძაღლი მიწაზე დაანარცხა და კბილებით ყელში სწვდა

და სოფელში გაიქცა. ქაქანით მირბოდა, უკან მოუხედავად, ძნელი იყო იმის გამოცნობა.—სინარული მირბენინდა თუ ვანიღლი შიშო...

მეორე დღეს მძლოლმა ალექსიანმა სველი გვერდზე მოისვა, რამდენიმე ახალგაზრდაც ძარაში მოათავსა და მანქანა არჯუტისაკენ გაფრინდა.

დაკრილი ნადირი ფორთხვით მისულყო წყაროდის. ღრუნი წაღში ჩაედო და ამ მდგომარეობაში დაეღია სული.

ექვსმა კაცმა ძლივს ასწიეს და ძარაში ჩაავდეს. პირდაპირ დაუჯერებელი ამბავი იყო. სუსტ ბიჭუნას როგორ დაემორჩილებინა ეს ვევერთელა მხეცი. სველი თეთრონაც სიზმარში გრძნობდა თავს.

შითლან რომ ჩამოივაცეს. მანქანას ყანების გვერდით უბღებოდა გავლა. როგორც კი შეამჩნევდნენ ბოლმე მანქანას, ხალხი ერთპირად სამუშაოს თავს ანებებდა და გზის პირას გამორბოდა ნადირის სანახავად. ყველას უყვირდა ამ უზარმაზარი ნადირის მოკვლის ამბავი.

აი, სასწულო...
ყოჩაღ. მანასის ბიჭო. ალალი იყოს შენზე დღის რბე... აღფროივანებული გაიძახოდნენ გულზეთი ყოველ მხრიდან.

აია. მანასის ბიჭმა მამის დანაკარგ მარტო ხორკით აინაზღაურა... ტყავი კიდევ სხვაა... გზადაგზა სამწუვად ხორკის შეკვეთები იმდენი მიიღო სვედოს თავინთი ბროხაც რომ დაეკლა, მაინც არ გასწვდებოდა ყველას.

მიუხედავად ამისა, ის არაეის ეუბნებოდა უარს. მისი პატარა, სისხარულით აღზნებული გული ზღვად კეულებოყო. და ეჩვენებოდა. რომ თანასოფლები მისგან მართლა ხორცს კი არ მოითხოვდნენ, არამედ მონაწილენი იყვნენ იმ დიდი სისხარულისა, რასაც ვანაცლიდა პატარა გვირი სველო.

და იგი თავის დაქნევით პირდებოდა ყველას, ყველას!..

სოფლის ბოლოს რომ მიუახლოვდა. აღექსიანმა განგებ შეანელა მანქანის სვლა და ხუმრობით მიმართა, სველოს:

— ახლა საით გვიბრანებ?.. სახლში. თუ სოფლის ცენტრში...

— სოფლის ცენტრში...

აღექსიანმა მანქანა პირდაპირ კოოპერატივის კარებს მიაციენა. უნდა გაეჩრებინა. მაგრამ სველომ მუჯლუგუნნი ჰკრა.

— კოტა კიდეე წინ წადი. — ჩასჩურჩულა ნახევარი ხმით.

— წინ?! საით?..

— სასადილოსკენ... იქ უნდა ჩავებარო...

— რომ არ მიიღონ?..

სველო ერთ წამს დაიბნა: „როგორ თუ არ მიიღონ?..“

— მიიღებენ... — გაგრძელებით მიუგო მან.

აეტო კოლმურენობის სასადილოს კარებთან ვაჩრდა. დათვი ძირს გადმოიღეს, შეათრიეს დარბაზში. აუარებელი ხალხი მოგროვდა; აქვე იყო აგრეთვე მზარეული ვასილი, რომელსაც სველო თავმოწონედ მიუხლოვდა.

— ბოძია ვასილ... — და ხმა მღვღეარებისგან აუკანკალდა, ამ დათვის ხორცის კარგი მწვადები შეწვი...

— ვისთვის? დაინტერესდა მზარეული.

— ყველასთვის... ვისაც სურდეს...

მზარეული მიხვდა ჰაბუკის სურვილს და სიამოვნებით გაიღიმა.

— ალალი იყოს პირველი ნადირობა, მანასის ბიჭო, — დაროცა გულიანად მზარეულმა.

სველო წაიდა, გაერია თავის ტოლ-ამხანაგებში და და მათთან ერთად გაეკვირებით გასცქეროდა ვაშლართულ ნადირს. თითქოს პირველად ხედავდა მას.

სომხურიდან თარგმნა
ივანე დავითიანმა



საბავშვო წიგნები

არაერთმა საინტერესო წიგნმა გაახარა წელს ნორჩი მკითხველი. გამოვიდა ჩვენი საყვარელი პოეტის — გიორგი ლენინძის ლექსები, ვრცელად აბაშიძის მშვენიერი პოემები: „ნაბოლარა წიწილა“ და „ფისოს ვახვირინება“. სათავგადასავლო ბაბლითიეკას კიდეე ერთი წიგნი შეემატა — ესაა თქვენი საყვარელი „როზინაონ კრუსო“. ვის არ წაუციოთხავს ჰარიეტ ბიჩერ სტოუს „ბოძია თომას ქობი“? იგი სეღახლა ვამოიცა: ჰუმორითაა საგზე იაბონელი მწერლის — სეკუტო ზანის წიგნი: „ბონზა და პატარა მორჩილი“. საქვეყნოდაა ცნობილი სახელი რუსი მწერლის, მიხეილ შოლოხოვისა. ახლახან შეიძღვნა თქვენც ნახეთ ფილმი „ზედი კაცისა“, რომელიც შოლოხოვის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით არის გადაღებული. ეს წიგნიც გააცნო „სალიტგამმა“ ნორჩ მკითხველებს.





შენ ვირზეახოვკი

ლ. კანგელაძე

ამას წინათ მატარებელში ერთი ძალიან საინტერესო კაცი გავიცანი. კრასნოიარსკიდან მოსკოვში მიემგზავრებოდი. დამით ერთ-ერთ პატარა. მივარდნილ სადგურზე შემოვივარდა იგი კუპეში—ზორზობი და სახეაწითლებული. დათვის ქურქი და თეთრი თეჟის ჩექმები ეცვა, ირმის ტყავის გრძელყურებიანი ქუდი ეხურა.

უკვე ვიძინებდი, როდესაც იგი კუპეში შემოიხიზრა. ისეთი ხმაური ატეხა თავისი ჩემოდნებითა და კალათებით. რომ უკვე გამოვვიხიზლო, თვალს გაეახილე და. მახსოვს. შემემინდა კიდევ ეს რა დათვი მეწყვიამეთქი!

გოლიათმა აუჩქარებლად მიალაგ-მოალაგა თაროებზე თავისი ბარგი-ბარხანა და გახდა დაიწყო. ქუდი რომ მოიხიდა. დავინახე. სულ გაქვ-ლარავებული იყო.

მერე ქურქი გაიხიდა. ორდენების ლენტებით ოთხმწკრივად დამშვენებული უბავონო სამხედრო გიმნასტურა ეცვა. „ოჰო! ეს დათვი. თურმე. ქარცეცხლში გამოვლილი ადამიანი ყოფილა!“—გავიფიქრე მე.

უკვე პატარისკემით ვუსქარდი. თვალი არ გამიხელია. მაგრამ ვიქვრიტებოდი და ფრთხილად ვაკვირდებოდი.

ის ფანჯარასთან დაჯდა კუთხეში, ერთ ხანს ქოშინობდა, სული მოითქვა. შემდეგ გიმნასტურის ჯიბე გაიხსნა და დავინახე—ბაწაწკინტელა ცხვირსახოცი ამოიღო, ჩვეულებრივი

ნახ. ნ. შალაკაშვილისა

ცხვირსახოცი. როგორც ქალიშვილებს აქეთ-იქლემ ჩანათში.

მახსოვს. გამიკვირდა და გავიფიქრე: ნეტავ რად უნდა ასეთი ცხვირსახოცი? ამ ზორბა კაცს ეს პატარა ცხვირსახოცი ნახევარ ცხვირზეც არ გაწევდა.

მაგრამ ცხვირსახოცი მას არაფერში გამოუყენებია, მუხლზე გადატყიცა, მიღვივთ დაახვია და მეორე ჯიბეში ჩაიღო. ერთ ხანს ასე იჯდა დაფიქრებული, შემდეგ კი თეჟის ჩექმების ვახდა დაიწყო.

ეს უკვე აღარ იყო საინტერესო და მალე ნამდვილად დავიძინე.

ღილით ერთმანეთს გავეცანიოთ დავიბასეთ. ნახევარი საათის შემდეგ უკვე ვიცილი. რომ ჩემი თანამგზავნი პოლოკონიკია. ყრფილი ტანისკტი. მთელი ომის განმავლობაში იხრძოდა. რვაჯერ თუ ცხრაჯერ დაიპკრა. ორჯერ კონტუზია მოუვიდა. იხრძობოდა, ცეცხლმოდებულ ტანკიდან გამოვარდა და თავს უშველა. ამჯერად პოლოკონიკი მივინებოდან ბრუნდებოდა. ყაზანში, სადაც მასხურობდა და ჯალაბოზაც იქ ჰყოფდა. ძალიან მოეჩქარებოდა შინ.

მახსოვს, დავინტერესდი. მრავალრიცხოვანი იყო თუ არა მისი ოჯახი.

ორნი ვართო, თქვა. გაიხსნა გიმნასტურის ჯიბე, შიგ ჩაიყო ორი თითი და ისე ამოიღო პატარა ცხვირსახოცი.

მეცინებოდა. თავი ვერ შევიკავე და შევევითხე:

— მომიტევეთ, პოლოკონიკო. ეს რა ცხვირსახოცი გაქვთ—ქალისა?

მას თითქოს ეწყინა,

— მომითმინეთ,—თქვა მან,—რატომ გგონიათ, რომ ეს ცხვირსახოცი ქალისაა?

— პატარა და იმიტომ.

— მაშ იმიტომ, რომ პატარაა?



— მომიტევეთ, პოლოკონიკო, ეს რა ცხვირსახოცი გაქვთ—ქალისა?

ი. გრიშაშვილი



იბრძოლეთ მედგრად!
სწერეთ მგრძობელად!
ააუკავილეთ
სამშობლო მხარე!
ჩინოსაც ნუ სტოვებთ
გაყენებელად...
ბედნიერებით,
გამოდით გარეთ!

ი. გრიშაშვილი

ცხვირსახოცი დაქვია. ვეგერეთ-
ლა ხელისგულზე დაიღო და მიიხრა:
— იცით, როგორი ცხვირსახო-
ცია?

— არა. არ ვიცი.
— ჰოდა საქმეც ეგაა. თუ გენ-
ბათე იცოდეთ. ეს ცხვირსახოცი უბ-
რალო როლია!
— ამა როგორია? მოჯადოვებუ-
ლი ხომ არ არის?
— მოჯადოებული არ არის, მაგ-
რამ ერთი სიტყვით, თუ გენბათე, შე-
მიძლია გაიამოთ.
— საიამოვებით. ძალიან საინტე-
რესოა.

— საინტერესო იქნება თუ არა,
ამას ვერ გეტყვით, პირადად ჩემ-
ვის კი ამ ისტორიას ძალიან დიდი
მნიშვნელობა აქვს. ერთი სიტყვით,
თუ საქმე არა გაქვთ — მოისმინეთ.
შორიდან დაწყება საჭირო. ეს მოხ-
და 1943 წლის დამლევს, ახალი
წლის დღისასწაულის წინა დღეებში.
მაშინ მაიორი ვიყავი და სატანკო
ნაწილს ემთაჟირობდი. ჩვენი ნაწი-
ლი ლენინგრადთან იდგა. კაიტერში
ხომ არ ყოფილხართ? კი, ხომ? მაშ,
საჭირო არ არის თქვენთვის იმის ახ-
სნა, თუ რას წარმოადგენდა მაშინ
ლენინგრადი. სიცივე, შიმშილი, ქუ-
ჩებში ყუმბარები და ნაღმები ცვივო-
და. მიუხედავად ამისა, ქალაქში
ცხოვრობდნენ, შეუშაობდნენ და სწავ-
ლობდნენ...

სწორედ იმ დღეებში ჩვენმა ნა-
წილმა ლენინგრადის ერთ-ერთი სა-
ბავშვო სახლის შეფობა იკისრა.

ამ სახლში იზრდებოდნენ ობლები,
რაიმელთა შობილები ან ფრონტზე
